

შპს „JEKO“-ს (ს.ნ 401972442)

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანია შპს „JEKO“-ს ძირითად საქმიანობაა საქართველოში სამშენებლო/სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობა

კომპანიის პრინციპია მომხმარებელს შევთავაზოთ საუკეთესო კომპლექსური წინადადება ფასის, ხარისხისა და თანმდევი მომსახურების ეფექტური კომბინაციით.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია შპს „JEKO“-ს დაფუძნებულია ორი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კომპანიის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასწმეწარმო იურიდიული პირების რეესტრში 2012 წლის 19 ივნისს.

2.2. კომპანიის დამფუძნებნი არიან გივი დუმბაძე და პავლე რუხაძე, რომლებიც ფლობენ 50%-იან წილებს საწარმოს კაპიტალში.

3. კომპანიის სტრუქტურა:

3.1. კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ◆ ადმინისტრაციული განყოფილება - დირექტორი;
- ◆ ფინანსური განყოფილება;
- ◆ ბუღალტერია;
- ◆ შესყიდვების განყოფილება;
- ◆ საწყოები;
- ◆ საცალო გაყიდვების კონსულტანტები - მაღაზია;
- ◆ დისტრიბუციის გაყიდვები: პრესეილი-დისტრიბუტორი

4. ბიზნეს რისკების განხილვა:

კომპანია „JEKO“ იმპორტირებას და შემდეგ რეალიზაციას უწევს ექვსიათასამდე დასახელების პროდუქტს რამოდენიმე სასაქონლო ხაზიდან. კომპანიის პროდუქციის ერთ-ერთ მთავარ სერიაა ორი თურქული ბრენდი MAKEL და DEKOR. აღნიშნული საქონელი გამოირჩევა მაღალი ხარისხით და ხელმისაწვდომი ფასებით. კომპანია ფლობს პროდუქციის მაკომპლექტებელი მასალების, ასევე სხვა სამშენებლო სარემონტო მასალების ფართო სერიებს.

[illegible]

შპს JEKO

საიდენტიფიკაციო კოდი: 401972442

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს JEKO (ს/ნ : 401972442)

ფინანსური მდგომარეობა:

აქტივები	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ექვივალენტები	43542	58092
სავაჭრო მოთხოვნები	2502092	2259228
გადახდილი ავანსები		
მარაგები	1311790	1397318
შპს პროდუქცია		
სხვა მიმდინარე აქტივები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3857424	3714638
გუდვილი		
ძირითადი საშუალება	1452579	1502467
არამატერიალური აქტივები	9591	11285
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5708	5708
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1467878	1519460
სულ აქტივები	5325302	5234098

ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3885969	2885550
გადასახდელი ხელფასები	8800	
საგადასახადო ვალდებულებები	336223	295109
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		166000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2035129	2330029
მიღებული გრანტი		
სხვა ვალდებულებები	229	1354
სულ ვალდებულებები	6266350	5678042
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1246843	-749739
გადაფასების რეზერვი	305795	305795
სულ საკუთარი კაპიტალი	-941048	-443944
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5325302	5234098

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/ირაკლი დუმბაძე/

/მანანა სამჭკუაშვილი/



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2018
საქონლის გაყიდვიდან	2078341
მომსახურების გაწევიდან	29483
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1614974
საწყისი მარაგები	-1397318
მარაგების შესყიდვა	-1529446
საბოლოო მარაგები	1311790
საერთო მოგება	492850
სხვა შემოსავალი	-106874
დასაქმებულთა ანაზღაურება	-249113
ცვეთა და ამორტიზაცია	-53359
საპროცენტო ხარჯი	-190270
იჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	-84543
სულ საოპერაციო ხარჯები	-191309

დირექტორი:

/ირაკლი დუმბაძე/

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature

/მანანა სამკუაშვილი/



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2018	31.12.2017
საკუთარი კაპიტალი		
შპს -ს კაპიტალი	0	0
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1246843	-749739
განაწილება მესაკუთერებზე (მათ შორის დივიდენდი)		
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	-1246843	-749739

დირექტორი:

/ირაკლი დუმბაძე/

მთ. ბუღალტერი:

/მანანა სამკუაშვილი/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „JEKO“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 19/06/1012წ; დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2906/2012წ-დან; იურიდიული მისამართი: საქარუელ ქ. თბილისის, დავით-ჩუღურთის რაიონში, ხოშარაულის ქ., N25
ფაქტობრივი მისამართი: საქარუელ ქ. თბილისის, დავით-ჩუღურთის რაიონში, ხოშარაულის ქ., N25
საიდენტიფიკაციო ნომერი:(ს/ნ : 401972442)
დამფუძნებელი და დირექტორი: პავლე რუხაძე (პ/ნ37001002404) 50 % წილს მფლობელ გივი ღუმბაძე (პ/ნ 61001002733), 50 % წილის მფლობელი.

გივი დუმბაძე (პ/ნ 61001002733), 50 % წილის მფლობელი.
დირექტორი ირაკლი დუმბაძე

შპს „JEKO“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალითა და აქსესუარებით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „JEKO“ პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების წამთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს		
	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2,6468
ევრო	3.0701	3.1044	2,794

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

დასახელება	ანგარიშის №	31.12.2018 წ მდგომარ.	01.01.2018 წ მდგომარ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	23 466,38	35 006,50
თი ზი სი ბანკი	1210-3	19 619,84	23 075,48
საბარათო ანგარიში თი ზი სი ბანკი	1210-4	446,19	
პროკრედიტ ბანკი	1210-5	10,00	10,00
ჯამი		43542	58092

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაცემი ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17

განყოფილების

შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, პრადარუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამოყენებად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

3.5 ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

ძირითადი საშუალებები

დასახელება	ანგარიშის №	31.12.2018 წ მდგომარ.	01.01.2018 წ მდგომარ.
მიწის ნაკვეთები	2110	897 754,24	897 754,24
შენობები	2130	163 899,18	163 899,18
შენობის ცვეთა	2230	-40 841,21	-34 364,48
ნაგებობები	2140	355 539,42	355 539,42
ნაგებობების ცვეთა	2240	-52 774,30	-34 905,10
მანქანა-დანადგარები	2150	58 190,67	58 190,67
მანქანა-დანადგარების ცვეთა	2250	-31 062,06	-24 279,91
ოფისის აღჭურვილობა	2160	20 407,66	20 583,03
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	2260	-13 631,65	-12 113,01
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2170	61 206,12	59 426,46
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	2270	-20 037,15	-17 492,84
სატრანსპორტო საშუალებები	2180	145 849,56	145 849,97
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	2280	-105 826,96	-80 526,11
ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალება	2185	13 905,48	13 905,48
ჯამი		1452579	1502467

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2018 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადებული დღე, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

3.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.11. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური

სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

დირექტორი:

/ირაკლი დუმბაძე/

მთ. ბუღალტერი:

/მანანა სამჭკუაშვილი/

